საექსპერტო დასკვნა

ქალაქი თბილისი, სოლომონ ზალდასტანიშვილის ქუჩა, №26. ს/კ 01.15.05.004.092 საკადასტრო ერთეულზე საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი 1 და ვლოკი 2) არქიტექტურული პროექტის ცვლილების პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" - დამტკიცების თაობაზე.

საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინა არქიტექტორმა: ვალერიანე იობიძემ.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების საფუძველზე 13-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების 21-ე მუხლის, მე-5 პუნქტის შესაბამისად.

1. შენიშვნები.

1. საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რიალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განომარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

2. ტერმინები და განმარტებები

1. **წესები** - შნობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები

2. **შშმ** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

3. პროექტის აღწერილობა

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

საპროექტო ტერიტორიაზე დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (ბრძანება № 3721935 12/12/2017) მის საფუძველზე განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ამჟამად მიმდინარეობს არქიტექტურული პროექტის ცვლილება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების გამოყენებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა

საპროექტო მიწის ნაკვეთი, რომლის ფართია 2009 კვ/მ მდებარეობს ქალაქი თბილისი, სოლომონ ზალდასტანიშვილის ქუჩა, №26. ს/კ 01.15.05.004.092 საკადასტრო ერთეულზე. ტერიტორია ქანობიანია, დონეთა სხვაობა 17 მეტრს აღწევს. მიწის ნაკვეთს ჩრდილო არმოსავლეთით და სამხრეთით ესაზღვრება საზოგადოებრივი გზა, ხოლო დანარჩენი მხრიდან ესაზღვრება კერძო საკუთრების ტერიტორიები. საპროექტო არიალი იმყოფება საცხოვრებელ ზონაში. მის მიმდებარედ განვითარებულია შერეული ტიპის საცხოვრებელი სახლების განაშენიანება.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა

საპროექტო ნაგებობა შედგება ორი ბლოკისგან. ჩრდილოეთით მდებარეობს **ბლოკი 1** და სამხრეთით **ბლოკი 2**. ბლოკი 1 შედგება 1 მიწისქვედა და 4 მიწისზედა სართულისაგან. -1 სართულზე მდებარეობს შემოზღუდული ავტოსადგომი, ხოლო დანარჩენ სართულებზე მდებარეობს საცხოვრებელი სივრცეები. ბლოკი 2 შედგება 1 მიწისქვედა და 6 მიწისზედა სართულისაგან. ყველა სართულზე განლაგებულია საცხოვრებელი სივრცეები.გებულია ლიფტის სამანქანე ნაგებობა.

პროექტის კონსტრუქციული სტრუქტურის აღწერა

შენობების ძირითადი სრტუქტურული სისტემა გადაწყვეტილია რკინაბეტონის მონოლითური კარკასით. საძირკველს წარმოადგენს ადგილზე ფორმირებული რკინაბეტონის ფილა, ასევე მონოლითური რკინაბეტონის ფილებითაა მოწყობილი ყველა სართულშუა გადახურვა. კედლების შემავსებლად გამოყენებულია ბეტონის ბლოკი.

4. ძირითადი ნაწილი

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

წესების მე-3 თავის მიხედვით საპროექტო ობიექტისთვის და მისი ცალკეული ნაწილებისათვის განსაზღვრულია დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები **წესების** 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.

- **სწ-2 (311.3)** სასაწყობო ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "ღია ან დახურულ ავტოსადგომებს". ეს დაკავებულობა (ღია ავტოსადგომები) განლაგებულია ბლოკი 1-ის -1 სართულზე და ბლოკი 2-ის +3 სართულზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 18.6 მთლიანი.

- **სც-2 (310.4)** საცხოვრებელი ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს „მრავალბინიან სახლებს“. ეს დაკავებულობა განლაგებულია ორივე საპროექტო ბლოკის ყველა სართულზე, გარდა ბლოკი 1-ის -1 სართულისა. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 18.6 მთლიანი.

2. კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

პროექტის კვლევის საფუძველზე ორივე ბლოკის შენობა-ნაგებობა განისაზღვრა **I-B ტიპის** კონსტრუქციად, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით და სავსებით აკმაყოფილებს **წესების** 503 ცხრილის მოთხოვნებს. ასევე განისაზღვრა შენობის ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი **წესების** 601 ცხრილის მიხედვით.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

ბლოკი 1. ბლოკი 2

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**სწ-2** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	11	>11
ფართი	7340	>7340
სიმაღლე	48.8	>48.8

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**სც-2** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	11	>11
ფართი	შეუზღუდავი	---
სიმაღლე	48.8	>48.8

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თვითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:

ბლოკი 1:

- -1 სართულზე განლაგებულია შემოზღუდული ავტოსადგომი. წესების 1021 ქვეთავის შესაბამისად მას აქვს ორზე მეტი გასასვლელი.

- +1-დან +3 სართულის ჩათვლით სართულებზე მოწყობილია ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რომელიც ახდენს ამ სართულების გარეთ გაყვანას. აღნიშნული გეგმარება სავსებით აკმაყოფილებს **წესების** 1021 ქვეთავის მოთხოვნებს.

- +4 სართულზე არსებულ დაკავებულობებს გასასვლელი აქვთ გარე ღია ტერასაზე, რომელსაც უკავშირდება ორი გარე გასასვლელი გზა-კიბე, საიდანაც შესაძლებელია მოხვედრა საზოგადოებრივ სივრცეებში. აღნიშნული გეგმარება სავსებით აკმაყოფილებს **წესების** მე-10 თავის მოთხოვნებს.

- ბლოკში მოწყობილია ორი ცალი შიგა გასასვლელის გზა-კიბე. ერთი გზა-კიბე გარეთ გადის -1 სართულზე 1023 ქვეთავის შესაბამისი გასასვლელის გზა-დერეფნით, ხოლო მეორე შიგა გასასვლელის გზა-კიბე გარეთ გადის +4 სართულზე არსებული ტერასით, საიდანაც უკავშირდება ორ სხვადასხვა ნაწილში განლაგებულ გარე გასასვლელის გზა კიბეებს და იქიდან ხვდება საზოგადოებრივ სივრცეში.

ბლოკი 2:

- -1 სართულზე არსებული ერთი ბინა უკავშერდება ორ შიგა გასასვლელის გზა-კიბეს. ერთი კიბე მდებარეობს ბლოკი 1-ში ხოლო მეორე კიბე ბლოკი 2-ში.

- +1 სართულზე არსებული ორი ბინა დამოუკიდებლად უკავშირდება ბლოკი 1-ის ღია ტერასას საიდანაც გარე გასასვლელის გზა კიბეებით ხვდება საზოგადოებრივ სივრცეებში და ასევე უკავშირდება შიგა გასასვლელის გზა კიბეს რომელიც ემსახურება მხოლოდ ბლოკი 2-ს.

- +2 სართულზე არსებული ოთხი ბინა უკავშირდება ბლოკი 2-ის ცენტრალურ დერეფანს, საიდანაც შედის შიგა გასასვლელის გზა-კიბეში და ასევე გადის აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებულ გარე გასასვლელის გზა-კიბეზე, ხოლო ამ ბინებიდან ერთ ერთს დამატებით კავშირი აქვს ბლოკი 2-ის ცენტრში მდებარე გარე გასასვლელი გზა კიბესთან.

- +3 სართულზე არსებული ორი საცხოვრებელი ერთეული უკავშირდება ცენტრალურ ღია სივრცეს რომელსაც კავშირი აქვს ზედა მიწის დონესთან და ბლოკი 2-ის შიაში მდებარე გარე გასასვლელის გზა-კიბესთან, რომელიც თავისმხრივ უკავშირდება ბლოკი 1-ის ზედა სართულზე განლაგებულ ტერასას და იქიდან გარე გასასვლელის გზა კიბეს, საიდანაც ხვდება საზოგადოებრივ სივრცეში. ამავე სართულზე განლაგებულ ავტოსადგომს ესაჭიროება ერთი გასასვლელი, რომელიც აქვს მარჯვენა მხარეს არსებულ გარე გასასვლელ გზა-კიბესთან.

- +4 სართულზე არსებული ბინები გადის ცენტრალურ დერეფანში საიდანაც უკავშირდება ცენტრალურ შიგა გასასვლელის გზა-კიბეს და მარჯვნივ არსებულ გარე გასასვლელის გზა-კიბეს.

- +5 სართულზე არსებული ორი ბინა დამოუკიდებლად უკავშირდება ცენტრალურ შიგა გასასვლელის გზა-კიბეს და მარჯვნივ არსებულ გარე გასასვლელის გზა-კიბეს.

- +6 სართული წარმოადგენს დუპლექსის ზედა სართულს, რომელიც დაკავშირებულია +5 სართულის ერთ-ერთ ბინასთან.

ორივე საპროექტო ბლოკში:

- შიგა გასასვლელის გზა-კიბეები, დაგეგმარებულია **წესების** 1009.2 და 1027.1 ქვეთავების მიხედვით. შემოზღუდულია **წესების** 1022 ქვეთავის შესაბამისად და გადის პირდაპირ გარეთ ან გადის 1023 ქვეთავის შესაბამისი გასასვლელის გზა-დერეფნით.

- გარე გასასვლელის გზა-კიბეები დაგეგმარებულია 1026 ქვეთავის მიხედვით.

- შენობიდან გამოსასვლელები **წესების** 1027 ქვეთავის შესაბამისადაა დაგეგმარებული. ის მდებარეობს მიწის დონეზე და პირდაპირ უკავშირდება საზოგადოებრივ გზას ან მდებარეობს შენობის სართულზე და გარე გასასვლელის გზა-კიბით უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორედ, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული წერტილის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს **წესების** 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

5. გზა-კიბეების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

- ორივე საპროექტო ბლოკში პროექტით გათვალისწინებულია სამი შიგა გასასვლელის გზა-კიბე. მისი სიგანე არის 110 სმ-ზე მეტი. რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთვების მოთხოვნებს.

- კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ მოწყობილია მოაჯირი **წესების** 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილია სახელური **წესების** 1012 ქვეთვის მოთხოვნათა დაცვით.

- სწორედ არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს **წესების** 1009.7.2 ქვეთვის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბის ბაქნების ზომები შეესაბამება **წესების** 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სხვა გასასვლელი საშუალებები სწორედ არის დაგეგმარებული დერეფნის სიგანე აკმაყოფილებს **წესების** 1018.2 ქვეთავისა და 1005.3.2 ქვეთვის მოთხოვნებს.

- სართულებზე ფიქსირდება ჩიხური დერეფნები, თუმცა დერეფნების სიგრძე აკმაყოფილებს **წესების** 1018.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ყველა კარი (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) აკამყოფილებს **წესების** 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება:

- ბლოკი 1-ის -1 სართული და ბლოკი 2-ის +3 სართულები მდებარეობს მიწის დონეზე, სადაც უნარშეზღუდული დაუბრკოლებლად უკავშირდება მისაწვდომ ლიფტს.

- სწორადაა განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი. ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი.

- ყველა დაკავებულობა და ყველა სართული არის მისაწვდომი.

- მისაწვდომ გასასვლელ საშუალებებს საჭირო არ არის ემსახურებოდეს თავშესაფრის ფართობები, რაც აკმაყოფილებს **წესების** 1007.3 პუნქტის მე-6 გამონაკლისს.

- ნაგებობა სრულად აკმაყოფილებს **წესების** მე-11 თავის მოთხოვნებს.

- ნაგებობაში გათვალისწინებულია წესების 1106.1 ქვეთავის მიხედვით მისაწვდომი ავტოსადგომების საჭირო რაოდენობა.

7. ლიფტების შეფასება:

- ორივე საპროექტო ნაგებობაში მოწყობილია ლიფტები წესების 1109.7 1007.2.1 ქვეთავების მოთხოვნით, რომელიც მოსახერხებელია უნარშეზღუდულთა გადაადგილებისათვის.

- ლიფტების დაგეგმარებისას გამოყენებულია **წესების** 1007.4 ქვეთავის მოთხოვნები. ის აკმაყოფილებს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილოებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ASME A117-ის მიხედვით

- ლიფტების შახტის შემომზღუდავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეს, რაც შეესაბამება 1702.1 პუნქტის მოთხოვნას.

- ლიფტების კაბინა აკმაყოფილებს 1702.4 პუნქტის მოთხოვნას. ისეა დაგეგმარებული რომ შესაძლებელია მათში 2,15 X 0,6 ზომის საკაცის შეტანა.

- ლიფტების შახტაში მოწყობილია დაწნევის სისტემა. რაც შეესაბამება 909.21 პუნქტის მოთხოვნას.

- საჰაეროების ფართობი მეტია 0,28 კვ.მ.-ზე, რაც შეესაბამება 1704.3 პუნქტის მოთხოვნას.

8. გარე კედლისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო ნაგებობების გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს. კერძოდ:

- ფასადიდან ნაშვერების ზომა აკმაყოფილებს **წესების** 705.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, არამზიდი კედლები და ტიხრები შიდა, იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 601ცხრილის მოთხოვნებს.

- გარე არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 602 ცხრილის მოთხოვნებს.

- გარე კედლების ანაწყობი, გამოყენებული მასალები და მოპირკეთების ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 14 თავის მოთხოვნებს

- გარე კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.

9. სახურავის ანაწყობის შეფასება:

- ორივე საპროექტო ბლოკის სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია **წესების** 601 ცხრილის მიხედვით. შენობის **I-B** კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე საჭიროებს სახურავის 1 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, საპროექტო ნაგებობის სახურავს წარმოადგენს რკინაბეტონის ფილა რომელსაც აქვს 2 საათზე მეტი ცეცხლმედეგობის ხარისხი.

- სახურავის ფილის ზედაპირზე განლაგებულია არაწვადი (ქვაბაბის) თბოსაიზოლაციო ფენილი, ქვიშაცემენტის მოჭიმვა და ჰიდროსაიზოლაციო ფენილი. სახურავის ანაწყობი

წესების 15 თავის მოთხოვნების შესაბამისადაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

- სახურავი **წესებთან** შესაბამისადაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

10. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამოჯვნების შეფასება:

ორივე საპროექტო შენობაში ორი დაკავებულობაა, ყველა სართული და ყველა საცხოვრებელი ერთეული ერთმანეთისაგან იმიჯნება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის გამმიჯნავით (ბეტონის სართულშუა გადახურვის ფილებითა და ბეტონის კედლებით), რაც სრულ შესაბამისობაშია **წესების** 508,4 ცხრილთან და 420.2 ქვეთავთან.

11. ხანძრისგან დაცვის სისტემის შეფასება:

- ორივე საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები **წესების** 906.1 ქვეპუნქტის მიხედვით და განაწილებულია 906.3(1) ცხრილის შესაბამისად. პორტატული ცეცხლსაქრობები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906.2 ქვეთავისა და NFPA 10 - ის მოთხოვნების შესაბამისად.

- **წესების** 905.1 ქვეთავის მიხედვით კიბის შემოზღუდულ სივრცეში მოწყობილია სახანძრო მილდგარების მისაერთებლები, რომლებიც უნდა დაყენდეს NFPA 14 - ის მოთხოვნების შესაბამისად.

- ლიფტის შახტაში მოწყობილია დაწნევის სისტემა. რაც შეესაბამება 909.21 პუნქტის მოთხოვნას.

- **წესების** 907.2.9 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით სც-2 დაკავებულობებში დერეფნებში და დახურულ ავტოსადგომში დაყენებულია წესების 907.2.9.1 ქვეთავის შესაბამისი სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემა.

- **წესების** 907.2.9.2 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით UL 217-ის შესაბამისი კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის ერთი და მრავალბლოკიანი მოწყობილობები უნდა დაყენდეს 907.2.11.1 - 907.2.11.4 ქვეთავებისა და NFPA 72-ის მიხედვით.

12. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- ორივე საპროექტო შენობაში, წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობის რაოდენობა შეესაბამება **წესების** ცხრილის 1602.1 მოთხოვნებს.

- ავტოსადგომებს **წესების** 1602.3 -ის გამონაკლისის მიხედვით არ ესაჭიროებათ ტუალეტები

- საცხოვრებელ ერთეულებს ემსახურებათ საჭირო რაოდენობის ტუალეტები (**წესების** 1602.1 ცხრილი)

13. ავტოსადგომების შეფასება:

ორივე საპროექტო ნაგებობაში მოწყობილია ავტოსადგომები, რომლებიც **წესების** დაცვითაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს მის ყველა მოთხოვნას.

- ავტოსადგომებზე განლაგებულია 50 ავტოსადგომზე ნაკლები. მათ ემსახურება ცალმხრივი შესასვლელ/გამოსასვლელიანი საავტომობილო გზა, რომლის სიგანე არის 3,5 მეტრზე მეტი. ის აკმაყოფილებს **წესების** 406.9.4.1 ქვეთავისა და 406.9.4.7 ქვეთავის გამონაკლისის მოთხოვნებს.

- საავტომობილო გზების მოხვევის რადიუსი აკმაყოფილებს **წესების** 406.9.4.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ავტოსადგომების ზომები, განლაგებისა და გასასვლელების მიმართ მოთხოვნები განსაზღვრულია **წესების** 406.9.4.3.1 ცხრილის მიხედვით და აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს.

- **წესების** 406.9.2.4 ქვეთავის მიხედვით მოწყობილია მისაწვდომი ავტოსადგომი, რომლებიც დაგეგმარებულია ICC A117.1-ის ნორმების მიხედვით.

დასკვნა

ქალაქი თბილისი, სოლომონ ზალდასტანიშვილის ქუჩა, №26. ს/კ 01.15.05.004.092 საკადასტრო ერთეულზე საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი 1 და ვლოკი 2) არქიტექტურული პროექტის ცვლილების პროექტი სრულად შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან - „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები“. ასევე ვადასტურებ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს წესებთან შესაბამისობისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: გიორგი ლოთიშვილი



დოქტორის დიპლომი

DOCTOR'S DIPLOMA

საქართველო

Georgia

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

Legal Entity of Public Law

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

დოქტორის დიპლომი

Doctor's Diploma

DOC№ 000184

არქიტექტურის საუნივერსიტეტო
სადისერტაციო საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის № 1 გადაწყვეტილებით

გიორგი ლოთიშვილს

მიენიჭა არქიტექტურის დოქტორის აკადემიური ხარისხი .

სადისერტაციო ნაშრომი: ურბანული სიმჭიდროვის მართვის ზოგადი პრინციპები და მეთოდები თბილისის მაგალითზე

By the decision № 1 July 20, 2020 of the University Dissertation Council of the Architecture

Mr. Giorgi Lotishvili

was awarded PhD Degree in Architecture .

Doctoral Thesis: The General Principles and Methods of Urban Density Management Based on the Example of Tbilisi

რეგისტრაცია
Registration № **00183**

დეკანი
Dean — ნინო იმნაძე
Nino Imnadze

თბილისი
Tbilisi 09 (რიცხვი/*Day*) 11 (თვე/*Month*) 2021 (წელი/*Year*)

რექტორი
Rector — დავით გურგენიძე
David Gurgenidze

ბ.ა.
Seal

პროგრამის დეტალები, მოპოვებული ინდივიდუალური კრედიტები და მიღებული შეფასებები (თუ არსებობს, უნდა დაერთოს ოფიციალური ნიშნების ფურცელი, ტრანსკრიპტი):

№	სასწავლო კურსი/მოდული	სემესტრი	კრედიტი	ქულა	პირობითი შეფასება GPA
1	აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	I	5	97	4,00
2	სწავლების მეთოდები	I	5	99	40,00
3	არქიტექტურის ხელოვნება	I	10	100	4,00
4	სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 1	I	10	100	4,00
5	პროფესორის ასისტენტობა	II	5	95	4,00
6	სივრცე, ფორმა, კომპოზიცია	II	5	99	4,00
7	სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 1	II	20	95	4,00
8	პირველი თემატური სემინარი	III	15	100	4,00
9	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი-1	III	15	100	4,00
10	მეორე თემატური სემინარი	IV	15	97	4,00
11	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი-2	IV	15	94	4,00
12	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი-3	V	30	97	4,00
13	დისერტაციის დასრულება, დაცვა	VI	30	91	4,00
14	**კრედიტების ჯამი (ECTS)**	-	180	-	-
15	**საშუალო შეწონილი ქულა**	-	-	94	-
16	**საშუალო შეწონილი შეფასება (GPA)**	-	-	-	4,00

გიორგი ლოთიშვილმა შეასრულა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე ,,ურბანული სიმჭიდროვის მართვის ზოგადი პრინციპები და მეთოდები თბილისის მაგალითზე'' და დაიცვა შეფასებით - ფრიადი.

4.4 **შეფასებების სისტემა და, თუ შესაძლებელია, შეფასებების განაწილების ცხრილი:**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედებს ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა (ECTS). იგი ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU №003630

This is to certify that Mr./Mrs. Giorgi Lotishvili in year 2001 completed a full academic course of the Georgian Technical University majoring in Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July 11, 2001 Mr. Giorgi Lotishvili is conferred the present DIPLOMA and the qualification of Architect

Rector .....

Seal

Chairman of the State Examination Board .....

Dean .....

City Tbilisi 4. 03. 2005

Registration № 14720 Secretary .....

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ №003630

მიეცა გიორგი გიორგის ძე ლოთიშვილს იმაზედ, რომ მან 2001 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული კურსი, სპეციალობით არქიტექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით გიორგი გიორგის ძე ლოთიშვილს მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია

რექტორი .....

ბ.ა. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე .....

დეკანი .....

ქალაქი თბილისი 4. 03. 2005 წ.

სარეგისტრაციო № 14720 მდივანი .....

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-051

გადაეცემა

გიორგი ლოთიშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

გიორგი ლოთიშვილი

მისამართი: ფ. მონაპერეს ქ. ნაკ. 044/731
ტელ: 593 222 033
ელ-ფოსტა naormala@gmail.com

დაბადების თარიღი: 01/07/1976
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

განათლება

1995 – 2001 გავიარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სრული კურსი (ბაკალავრი, მაგისტრატურა) მივიღე კვალიფიკაცია: არქიტექტორი.

2017 წელს გავიარე შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი (41 დადგენილება). იგივე წელს ჩავაბარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დოქტურანტურაში.

ამჟამად ვარ არქიტექტურის დოქტურანტურის სტუდენტი.

სამუშაო გამოცდილება

2001-2002 წელი	შპს "გოდაკო" არქიტექტორის თანამდებობა
2002 წელი	შპს "ალფა დიზაინი" მთავარი არქიტექტორის თანამდებობა
2003-2010	ინდ-საწარმო "გიორგი ლოთიშვილი". არქიტექტურილი მომსახურება.
2010-2015	შპს "ნაორმალა". ს/ნ (406030227) ფირმის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. ფირმა ახორციელებს არქიტექტურული პროექტების მომზადებას და თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებას.
2015-2017	ფ/პ გიორგი ლოთიშვილი, კერძო არქიტექტორის სტატუსით ნაგებობების არქიტექტურული პროექტების მომზადება და შეთანხმება თბილისის არქიტექტურის სამსახურთან
2017-დღემდე	პროექტირებასთან ერთად ვანხორციელებ საკონსულტაციო მომსახურებას 41 დადგენილებასთან შესაბამისობაში. ვამოწმებ სხვა არქიტექტორების მიერ მომზადებულ პროექტებს და გავცემ შესაბამის საექსპერტო შეფასებებს.



საქართველო
Georgia

პასპორტი PASSPORT

ტიპი TYPE P
ქვეყნის კოდი CODE OF STATE GEO
პასპორტი / PASSPORT 16AB20769

გვარი / SURNAME
ლოთიშვილი / LOTISHVILI

სახელი / GIVEN NAME
გიორგი / GEORGE

მოქალაქეობა / CITIZENSHIP
საქართველო / GEORGIA

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH
01 ივლ / JUL 1976

სქესი / SEX M

პირადი ნომერი / PERSONAL NUMBER
04001000787

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ამბროლაური / AMBROLAURI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
07 აპრ / APR 2017

მოქმედების ვადა / EXPIRY DATE
07 აპრ / APR 2027

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

მფლობელის ხელმოწერა / OWNER'S SIGNATURE

P<GEOLOTISHVILI<<GEORGE<<<<<<<<<<<<<<<<<<<<<<
16AB207694GE07607017M2704070<<<<<<<<<<<<<<04